ანგარიში

თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2022 წლის განმავლობაში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა შეადგენდა 56 167 000 ლარს.

2022 წლის შესყიდვების განსახორციელებელად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ სხვადასხვა მომწოდებლებთან დაიდო 483 ხელშეკრულება, რომელთა საერთო ღირებულებამ შეადგენა 46 539 319,91 ლარი.

გამარტივებული შესყიდვის მეშვეობით დადებული ხელშეკრულებების ღირებულებამ შეადგინა 1 177 171.30 ლარი, საიდანაც გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე გამარტივებული შესყიდვის მეშვეობით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

23 მარტს ქუთაისში განვითარებული ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებული სახურავების შესაკეთებლად საჭირო საპროექტო-სახარჯთარიცხვო დოკუმენტების შესყიდვისთვის დადებული ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა - 2 700 ლარი.

23 მარტს ქუთაისში განვითარებული ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებული სახურავების დროებით გადასახურად ტენდების, თოკისა და გადასახური მასალების შესასყიდლად დადებული ხელშეკრულებების ღირებულებამ შეადგინა - 35 450,63 ლარი.

ქ. ქუთაისში, გაფრინდაშვილის ქ. #10-სა და გაფრინდაშვილის ქუჩის მეოთხე ჩიხის #3-ს შორის არსებული ტერიტორიის გეოლოგიული კვლევისა და გამაგრებისთვის საჭირო საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვისთვის დადებული ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა - 28 000 ლარი.

გეოლოგიური კვლევებისთვის საჭირო ბურღვითი სამუშაოების ჩასატარებლად და დროებითი გზის სამუშაოების განხორციელებისთვის დადებული ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა - 19 897,60 ლარი.

სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის სააღდგომო ნობათის შესასყიდლად დადებული ხელშეკრულებების ღირებულებამ შეადგინა - 242 000 ლარი.

ქალაქ ქუთაისში, წერეთლის ქუჩა N30-ში მდებარე ცენტრალური სამუსიკო სკოლის სახურავის მოწყობის სამუშოების ღირებულებამ შეადგინა - 66 645,90 ლარი.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში დაზიანებული ელექტრო სადენებისა და ელექტრო სადენის შემაერთებლების შესასყიდლად დაიდო 2 ხელშეკრულება, ღირებულებით 6 653,80 ლარი.

თეთრი ხიდის სავალ ნაწილზე დაზიანებული მინისა და მერიის შემოსასვლელში დაზიანებული მინის კარებისთვის მინის შესასყიდლად დადებული ხელშეკრულებების ღირებულებამ შეადგენა - 6 450 ლარი.

ბორჯომის ხეობაში გაჩენილი ხანძრის ლიკვიდაციის მიზნით, იმერეთის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ბრიგადების ავტობუსით გადასაყვანად დაიდო ხელშეკრულება 850 ლარზე.

ქ. ქუთაისიში ჯიბლაძის ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისთვის დადებული ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა 128 129,85 ლარი.

გამარტივებული შესყიდვის მეშვეობით გაფორმებული:

1) კულტურული და სპორტული ღონისძიებებისთვის დადებული ხელშეკრულებების საერთო ღირებულებამ შეადგინა - 140 154 ლარი.

2) ადინისტრაციული შენობისა და გუგუნავას ქუჩის 12-ში მდებარე საცხოვრისის დაცვის მომსახურებისთვის დადებული ხელშეკრულებების ღირებულებამ შეადგენს - 197 600 ლარი.

3) არქივის მომსახურებისთვის დადებული ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა - 9 000 ლარი.

4) ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაბაშვილის პარკის მომსახურების შესასყიდლად დადებული ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა - 10 000 ლარი.
5) საკრებულოსა და მერიის სტრუქტურული ერთეულებისთვის სხვადასხვა დასახელების სამეურნეო საქონლის შესასყიდლად დადებული ხელშეკრულებების საერთო ღირებულებამ შეადგინა - 25 159 ლარი.
6) ვლადისლავ რაჩკევიჩის მონუმენტის არსებული პოცტამენტის მოპირკეთებისთვის გრანიტის შესასაყიდლად დადებული ხელშეკრულების ღირებულემა შეადგინა - 4000 ლარი.
7) ფოტოგრაფ ილოს ძეგლის რესტარვაცია - აღდგენისთვის დადებული ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა - 3 361,34 ლარი.
8) წარმომადგენლობითი ხარჯებისთვის დადებული ხელშეკრულებების ღირებულებამ შეადგინა - 175 678,65 ლარი და
9) სხვა დანარჩენი საქონელისა და მომსახურების შესასყიდად დადებული ხელშეკრულებების ღირებულებამ შეადგინა - 75 040,33 ლარი.

ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე (NAT) ჩატარების შედეგად დადებული ხელშეკრულებების სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა - 44 277 170,72 ლარი.

აუქციონის გარეშე ელექტრონულ ტენდერში (NAT) მონაწილე პრეტენდეტების რაოდენობის მიხედვით გვაქვს შემდეგი სურათი:

- 113 ტენდერში წინადადება წარადგინა 1-მა პრეტენდეტმა,
- 63 ტენდერში მონაწილეობა მიიღო 2 -მა პრეტენდეტმა,
- 35 ტენდერში მონაწილეობა მიიღო 3 - მა პრეტენდეტმა,
- 14 ტენდერში მონაწილეობა მიიღო 4 -მა პრეტენდეტმა
- 11 ტენდერში მონაწილეობა მიიღო 5-მა პრეტენდეტმა,
- 4 ტენდერში მონაწილეობა მიიღო 6-მა პრეტენდეტმა,
- 1 ტენდერში მონაწილეობა მიიღო 7 -მა პრეტენდეტმა,
- 1 ტენდერში მონაწილეობა მიიღო 8 პრეტენდეტმა,
- 1 ტენდერში მონაწილეობა მიიღო - 10 პრეტენდენტმა.

დიაგრამა #1: აუქციონის გარეშე ელექტრონულ ტენდერით დადებული ხელშეკრულებების მიხედვით, ტენდერში მონაწილე პრეტენდენტების განაწილება:

დიაგრამა : 1



ხოლო კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად, რომელსაც ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციისთვის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ერთიანად ატარებს - გაფორმებული ხელშეკრულებების საერთო ღირებულებამ შეადგინა 1 084 977,89 ლარი.

დიაგრამა #2: 2022 წელს დადებული ხელშეკრულებების განაწილება შესყიდვის საშუალებების მიხედვით;



დიაგრამა #3: 2022 წელს დადებული ხელშეკრულებების განაწილება ღირებულებების მიხედვით (ლარი)



2022 წელს დადებულ ხელშეკრულებს შორის შესყიდვის სახეობის განაწილება ასეთია:

- სამუშაო - 107 ხელშეკრულება - 37 588 752,05 ლარი,
- მომსახურება - 232 ხელშეკრულება - 4 026 858,4 ლარი,
- საქონელი - 144 ხელშეკრულება - 4 923 709,46 ლარი.
-

შესყიდვის ობიექტების რაოდენობრივი განაწილება სახეობის მიხედვით



შესყიდვის ობიექტების თანხობრივი განაწილება (ლარი)